



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



წიგნი

ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება სკოლებში

ტრენინგი მოქალაქეობის მასწავლებლებისთვის
IV დღე

საქართველოს ეროვნული ბანკი

2025



ტრენინგის დღის წესრიგი

2

26 ივნისი, 15:00 -18:00 სთ

საკითხები - IV დღე

- პროფესია და სამსახური
- სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები
- პრაქტიკული აქტივობა - გადასახადების გამოთვლა
- დაზღვევა
- პრაქტიკული აქტივობა - დაზღვევის შერჩევა



შესვენება

16:15-16:30



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



გინეა



1 საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად
დაგამახსოვრდათ

1 აქტივობა, რომელიც ყველაზე მეტად
მოგეწონათ





საკითხი 7:

პროფესია და სამსახური



საიდან მოდის ფული?



დაქირავებით
შრომა



აქტივის ფლობა



მეწარმეობა





პროფესია

შეძენილი (დასწავლის შედეგად მიღებული) ცოდნის, უნარების და ჩვევების ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია სპეციფიკური სამუშაოს შესასრულებლად და რომელიც ინდივიდს ათვისებული აქვს.

სამსახური

კონკრეტული მოვალეობა, დავალება ან საქმიანობა, რომელსაც ადამიანი რეგულარულად თავისი დროის, ენერგიისა და უნარების ხარჯზე, ფულის გამომუშავების მიზნით ასრულებს.

კარიერა

სამსახურებრივ, საზოგადოებრივ ასპარეზზე წარმატების მიღწევისაკენ მიმავალი გზა.





რას ურჩევდით მოსწავლეს, რა უნდა
გაითვალისწინოს პროფესიის არჩევისას?





როგორ ავირჩიოთ პროფესია?


- რისი კეთება მიყვარს?
- რა მაინტერესებს?
- რა გამომდის კარგად?
- რისი ცოდნა და რა უნარებია საჭირო?
- რომელი პროფესიები არის/იქნება მოთხოვნადი?
- რამდენია საშუალო ანაზღაურება?





გადაწყვეტილების მიღების PACED მოდელი

P	პრობლემა (P roblem)
A	ალტერნატივა (A lternative)
C	კრიტერიუმები (C riteria)
E	შეფასება (E valuation)
D	გადაწყვეტილება (D ecision)





პროფესია და სამსახური

10

გადაწყვეტილების მიღების PACED მოდელი

კრიტერიუმები	პროფესია #1	პროფესია #2	პროფესია #3	პროფესია #4
საინტერესო საქმე				
მოთხოვნადია				
კარგად გამომდის				
მაღალი ანაზღაურება				
...				





სად და რა ინფორმაცია შეიძლება
მოვიძიოთ ამა თუ იმ პროფესიის შესახებ?





- **ინფორმაცია ამა თუ იმ პროფესიის შესახებ** - ინტერნეტით, სფეროში დასაქმებული ადამიანებისგან
- **როგორია დასაქმების შესაძლებლობა და ანაზღაურება** - ვაკანსიების საძიებო გვერდები, სტატისტიკური ინფორმაცია
- **რა მოთხოვნები აქვთ დამსაქმებლებს** - მაგ., საბაზისო ცოდნა და უნარები, კომუნიკაბელურობა, გუნდური მუშაობა, ტექნოლოგიების გამოყენება, ვერბალური კომუნიკაციის უნარი, პრობლემების გადაწყვეტა, გამოცდილება და სხვა.





რა უნდა გაითვალისწინოთ სამსახურის დაწყებამდე?

- მოხალისეობა და სტაჟირება
- რეზიუმეს/CV-ის შექმნა
- სამსახურის ძიება
- შერჩევის ეტაპების გავლა



სამსახურის შერჩევის კრიტერიუმები

ორგანიზაციული კულტურა

სამუშაოს მიღმა აქტივობების
შესაძლებლობა

სამუშაო ადგილის
მდებარეობა

კომპანიის საქმიანობის
სფერო

მატერიალური და
არამატერიალური სარგებელი

შრომითი ხელშეკრულების
გაფორმება





რას ნიშნავს შრომის დანაწილება?

შრომის დანაწილება

პრაქტიკა, როდესაც ადამიანს ეძლევა საშუალება ფოკუსირებული იყოს კონკრეტულ სამუშაოზე.

- ადამიანები მოიხმარენ გაცილებით მრავალფეროვან პროდუქტსა და მომსახურებას, ვიდრე თავად ქმნიან;
- ადამიანები სპეციალიზდებიან კონკრეტულ საქმიანობაზე;
- ადამიანები ერთმანეთში ცვლიან პროდუქტებსა და მომსახურებას;
- იგივე შეიძლება ვთქვათ სახელმწიფოებზეც;
- სპეციალიზაცია არის ვაჭრობის საფუძველი.





ინდივიდუალური აქტივობა

- ჩამოტვირთეთ სამუშაო ფურცელი - პროფესიის არჩევა და შეასრულეთ მოცემული დავალება





ჯგუფური დისკუსია

შეკითხვები

რეკომენდაციები





საკითხი 8:

სახელმწიფო ბიუჯეტი და გადასახადები



სად მიდის ჩემ მიერ გამომუშავებული ფული?

დარიცხული ხელფასი

ხელფასი საშემოსავლო
გადასახადის გადახდამდე

ხელზე ასაღები ხელფასი

ხელფასი, რომელიც გრჩებათ
გადასახადების გადახდის შემდეგ
და რომელიც სრულად თქვენს
განკარგულებაშია


გადასახადი

სავალდებულო, უპირობო ფულადი
შენატანი, რომელსაც იხდით გადახდის
აუცილებელი, არაეკვივალენტური და
უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე





სახელმწიფო ბიუჯეტი





სახელმწიფო ბიუჯეტის ფუნქციები:

მთავრობამ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად როგორ, რა სახის და რა მოცულობით მოიძიოს სახსრები

მთავრობამ სხვადასხვა სფერო როგორ, რა მოცულობით დააფინანსოს და განსაზღვროს სახელმწიფო ვალის ლიმიტი

საბიუჯეტო პროცესი:

ფორმირება

განხილვა

დამტკიცება

დაზუსტება

შესრულება

ანგარიშგება

კონტროლი





სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტები



ჯანდაცვა და
სოციალური
უზრუნველყოფა



თავდაცვა და
უსაფრთხოება



ტურიზმი და
ინფრასტრუქტურა



განათლება და
მეცნიერება



საინვესტიციო
გარემოს
გაუმჯობესება



ინსტიტუციონალურ
ი განვითარება



მიგრანტთა
მხარდაჭერა



კულტურა,
რელიგია, სპორტი



ევროატლანტიკურ
სივრცეში
ინტეგრაცია



სოფლის
მეურნეობა



გარემოს
დაცვა





რა გადასახადები არსებობს?

საერთო-სახელმწიფოებრივი

საშემოსავლო
გადასახადი

მოგების
გადასახადი

დღგ

იმპორტის
გადასახადი

აქციზი

ადგილობრივი

ქონების
გადასახადი





შესვენება
16:15 – 16:30

ტრენინგი მასწავლებლებისთვის



ჯგუფური აქტივობა

- **ჯგუფი #1:** 11. გადასახადების გამოთვლა
- **ჯგუფი #2:** 12. გადასახადის სახეები





ჯგუფური დისკუსია

შეკითხვები

რეკომენდაციები





საკითხი 9:

დაზღვევა



ყოველდღიურობაში არსებული რისკები

რისკი

არასასურველ მდგომარეობაში აღმოჩენის შესაძლებლობა

დაბალი რისკები

ფინანსურ შედეგებთან
გამკლავება განსაკუთრებული
პრობლემების გარეშეა
შესაძლებელი

საშუალო - დამაზიანებელი (კრიტიკული რისკები)

რისკების შედეგები
დაძლევადია, თუმცა ზიანის
დადგომის შემთხვევაში
შინამეურნეობის
კეთილდღეობა და ფინანსური
მდგომარეობა
მნიშვნელოვნად უარესდება.

მაღალი - განმანადგურებელი რისკები

ფინანსური ზარალი იმდენად
დიდია, რომ შინამეურნეობა
ვეღარ უმკლავდება მას.





რაში გვეხმარება დაზღვევა?

დაზღვევა

ფინანსური ინსტრუმენტი იმისათვის, რომ დაგიცვათ თქვენ, თქვენი ოჯახი ან თქვენი ბიზნესი გაუთვალისწინებელი ფინანსური დანახარჯებისაგან.

დაზღვევის დახმარებით შესაძლებელია პოტენციური რისკების დადგომის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის თავიდან აცილება ან მისი შემცირება.





როგორ მუშაობს დაზღვევა?

დაზღვევა არის შეთანხმება, რომლის თანახმადაც წინასწარ განსაზღვრული თანხის გადახდის სანაცვლოდ, სადაზღვევო ორგანიზაცია აგინაზღაურებთ შესაბამის ზიანს.

აზღვევს რისკებისგან, გადასცემს სადაზღვევო პოლისს და ხელშეკრულებას

მზღვეველი
(სადაზღვევო კომპანია)

დაზღვეული
(ფიზიკური ან იურიდიული პირი)

იხდის სადაზღვევო პრემიას,
ანუ ფულად შენატანს





დაზღვევის ტიპები

პირადი დაზღვევა

- ჯანმრთელობის დაზღვევა
- სიცოცხლის დაზღვევა
- სამოგზაურო დაზღვევა

ქონების დაზღვევა

- სასოფლო-სამეურნეო დაზღვევა
- ავტომობილის დაზღვევა
- უძრავი და მოძრავი ქონების დაზღვევა

პასუხისმგებლობის დაზღვევა

- პროფესიული პასუხისმგებლობა
- სამოქალაქო პასუხისმგებლობა





დაზღვევის ხელშეკრულება

დამზღვევი

მზღვეველი

დაზღვეული

სადაზღვევო შემთხვევა

სადაზღვევო პოლისი

სადაზღვევო პრემია

დაზღვევის შეძენამდე გასათვალისწინებელი

- რისკის დადგომის რა ალბათობა არსებობს?
- დადგომის შემთხვევაში, რისკი რა ზარალს გამოიწვევს?
- რომელი სადაზღვევო კომპანიებია ხელმისაწვდომი?
- რა განსხვავებული სერვისები და სახელშეკრულებო პირობები აქვთ მათ?
- სადაზღვევო პრემიის რეგულარულად გადახდას შეძლებთ?






დაზღვევის ხელშეკრულება

დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებამდე გასათვალისწინებელი:

- რა სადაზღვევო რისკებს ფარავს და რას არ ფარავს დაზღვევა?
- რამდენია სადაზღვევო ანაზღაურების სავარაუდო მოცულობა?
- რამდენია სადაზღვევო პრემია?
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგადი დებულებები და პირობები.
- როგორ უნდა იმოქმედოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას?
- რა შემთხვევებშია შესაძლებელი ხელშეკრულების შეწყვეტა?





ჯგუფური აქტივობა

- **ჯგუფი #1:** 17. ცხოვრებისეული რისკები
- **ჯგუფი #2:** 17. ცხოვრებისეული რისკები
- **ჯგუფი #3:** 18. დაზღვევის ტიპები
- **ჯგუფი #4:** 18. დაზღვევის ტიპები






ჯგუფური დისკუსია


შეკითხვები

რეკომენდაციები





1 ქცევა, რომელსაც განვლილი 4 სესიის შემდეგ ფიქრობთ რომ აუცილებლად შეცვლით/გამოიმუშავებთ



1 ქცევა, რომელიც განვლილი 4 სესიის შემდეგ გინდათ რომ შეცვალოთ/გამოიმუშავოთ, თუმცა დარწმუნებული არ ხართ რომ გააკეთებთ





საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



წიგნაღა

გმადლობთ ყურადღებისთვის!